სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს უფროსს

ქალბატონ ელენე ღუბიანურს

№ 0408-01

04.08.2026 წ.

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ შპს „ლგ ტრანს“-ის მიერ მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნავაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიმდინარეობს მსუბუქი და სატვირთო ავტომობილისთვის (ჯამში 720) ავტოსადგომის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის, სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარის და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

წარმოდგენილი პროექტი განეკუთვნება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 9.2. ქვეპუნქტით (10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (მათ შორის, სავაჭრო ცენტრისა და 1 000 ავტომობილის ტევადობის ავტოპარკის მოწყობა)), 9.9 ქვეპუნქტით (კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის/მოწყობილობის მშენებლობა, რომლის მშენებლობა მიზანშეწონილია წყლის შეკავების ან წყლის გრძელვადიანი დაგროვების მიზნით და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 10 000 მ³-ზე მეტია) და 10.6 ქვეპუნქტით (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია) გათვალისწინებულ საქმიანობას, შესაბამისად ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „ლგ ტრანს“-ის „მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნავაზის მიმდებარე ტერიტორიაზე, მსუბუქი და სატვირთო ავტომობილისთვის (ჯამში 720) ავტოსადგომის, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის, სანიაღვრე წყლების შემკრები რეზერვუარის და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი“-ს სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკრინინგის გადაწყვეტილება.

წერილს თან ერთვის:

- სკრინინგის ანგარიში - ელ. ვერსია;

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
„13“ 08 2026 წ.
№ 12368

- დანართი 1 - ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემების ელ.ვერსია;
- საქმიანობის განხორციელების ადგილის GIS (გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა) კოორდინატები, shape ფაილის სახით - ელ. ვერსია.

პატივისცემით,

შპს „ლგ ტრანს"-ის დირექტორი

შორენა ნინიაშვილი